პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 7 მარტი, 1952 წ. № 57 (9217). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

კომუნიზმის მშენებლობებს — მოწინავე ტექნიკა! — „პრავდის“ 6-III მოწინავე (1-ლი გვერდი).

საინფორმაციო ცნობა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1952 წლის 6 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ (1-ლი გვერდი).

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (1-ლი და მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია (მე-2 გვერდი).

ჩაღდება ბრძოლა ლითონის ეკონომიისათვის (მე-3 გვერდი).

რატომ მფარველობენ ბატონყმურ ეკონომიკის ბანიერებს. (1-ლი გვერდი).

წინგზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად — რეფერატის დაწერისა და განხილვის შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კომუნიზმის მშენებლობებს— მოწინავე ტექნიკა!

საბჭოთა ხალხი შემოქმედებითი აღმავლობით აბრიალებს კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობებს; აქ სამუშაოები დღითიდღე სულ უფრო დიდი გაქანებით წარმოებს. მთავრდება ვოლგა-დონის სანაოსნო არხის აგება. ფართოვდება სამშენებლო და მოსამზადებელი სამუშაოების ფრონტი კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურების მოედნებზე, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების ტრასებზე. შენდება ახალი ქალაქები და დასახლებანი მშენებლებისათვის, ათობით სხვადასხვა დამხმარე საწარმო.

გრანდიოზულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა ესოდენ მოკლე ვადებში ხორციელდება მძლავრი მოწინავე ტექნიკის გამოყენების საფუძველზე. საბჭოთა მანქანათმშენებლობის წინაშე დასახული იყო ამოცანა — შეექმნა ახალი მაღალი წარმადობის მანქანები და მექანიზმები და გამოეშვა ისინი ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფდა დიად მშენებლობათა მოთხოვნილებებს. და ახლა უკვე უშვებენ ასობით ტიპის უახლეს მიწისმოზრელ, ამწევ-სატრანსპორტო, დამტვირთავ-გადმომტვირთავ და სხვა მაღალი წარმადობის მანქანებსა და მექანიზმებს, რომლებიც გამოყენებულია გიგანტურ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობაზე.

მშენებლებმა მიიღეს მძლავრი მოსიარულე ექსკავატორები, სკრეპერები, რომლებიც მიწის სამუშაოთა მექანიზაციის უაღრესად ეფექტიან საშუალებას წარმოადგენენ, უნივერსალური ბულდოზერები. შექმნილია მსოფლიოში ყველაზე მძლავრი მიწისმწოვი აგრეგატები, რომლებიც ცვლიან ათასობით მიწის მუშის შრომას, ავტომატიზებულია ტუმბოს დანადგარებიანი ბეტონის ქარხნები მილებით ბეტონის გადასატუმბავად. ახალი თანამედროვე ტექნიკის გამოყენება მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მშენებელთა შრომას, აჩქარებს მშენებლობის ტემპს, ამცირებს სამუშაოთა თვითღირებულებას და აუმჯობესებს ხარისხს.

კომუნიზმის დიად მშენებლობათა უახლესი ტექნიკით აღჭურვაში საბჭოთა მანქანათმშენებლობის მიერ მოპოვებული წარმატებანი მკაფიოდ გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ პროგრესს.

რაც უფრო ფართოდ ჩაღდება სამუშაოები მშენებლობებზე, მით უფრო დიდია მოთხოვნები მანქანათმშენებლობისადმი. გულისხმიერად დაუგდონ ყური ამ მოთხოვნებს, შეისწავლონ საშენებლო მოედნებზე მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების გამოცდილება, გამოავლინონ ტექნიკის შემდგომი სრულყოფისა და ახალი, უფრო დიდი წარმადობის მანქანების შექმნის შესაძლებლობანი — ასეთია საბჭოთა მანქანათმშენებლების უმთავრესი ამოცანები.

მშენებელთა მოთხოვნებისადმი ყურადღებიანი მოპყრობის მაგალითს გვიჩვენებენ ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშაკები. კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მეექსკავატორემ ამხ. კოვალენკომ, რომელიც ამ ქარხნის ექსკავატორზე მუშაობს, ქარხნის კონსტრუქტორთა ყურადღება მიაქცია ციცხვის კონსტრუქციის ზოგიერთ ნაკლს, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის წარმადობის გადიდებას. ქარხნის მუშაკები ყურადღებით მოეკიდნენ სტახანოველის შენიშვნებს და საჭირო ცვლილებები შეიტანეს ციცხვის კონსტრუქციაში, რამაც შესაძლებელი გახადა ექსკავატორის წარმადობის მკვეთრად გადიდება.

მანქანების კონსტრუქციების გაუმჯობესება მათი გამოყენების გამოცდილების საფუძველზე საშენებლო სამუშაოთა დაჩქარებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების დამატებით შესაძლებლობებს ქმნის. მშენებლობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ მიწისმთხრელი მანქანების კბილანა გადამცემები მტვრით ივსება და ნაადრევად გამოდის მწყობრიდან, რომ მოსიარულე ექსკავატორების რბილ გრუნტებზე მოძრაობა დაკავშირებულია ზოგიერთ სიძნელესთან. კონსტრუქტორთა ამოცანაა გაითვალისწინონ ახალი ტექნიკის გამოყენების პროცესში გამოვლინებული ნაკლოვანებანი და მიიღონ ღონისძიებანი მანქანების კონსტრუქციების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სამშენებლო სამუშაოთა წარმატებითი მექანიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნას არა მარტო ახალი მანქანებისა და მექანიზმების შექმნით და არსებულების გაუმჯობესებით, არამედ მათი კომპლექსური გამოყენებითაც. ნაკადური მეთოდი, რამაც საგნებით გაამართლა თავისი დანიშნულება მრეწველობაში, შეიძლება გადატანილ იქნას და კიდევაც უნდა იქნას გადატანილი სამშენებლო მოედნებზე. იგი ხელს შეუწყობს მშენებლობის ტექნოლოგიის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანას. აქ მოქმედების დიდი ასპარეზია როგორც მშენებლებისათვის, ისე მანქანათმშენებლობის მუშაკებისთვისაც.

საბჭოთა მრეწველობა ამზადებს უაღრესად სხვადასხვა მოწყობილობას ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა აღჭურვისათვის: მძლავრ ჰიდროტურბინებს, ტუმბოებს, ელექტროდენის გენერატორებს, უნიკალურ ტრანსფორმატორებსა და ბევრ სხვა მანქანასა და ხელსაწყოს. ასეთი მანქანების შექმნაში მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი. მაგალითად, ცნობილია, რომ საბჭოთა მსხვილმა ჰიდროტურბომშენებლობამ თავის განვითარებაში მნიშვნელოვნად გაუსწრო კაპიტალისტური ქვეყნების ჰიდროტურბომშენებლობას.

კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის მძლავრი მოწყობილობის დამზადება მოითხოვს საბჭოთა მეცნიერი მუშაკების, ინჟინრების, სტახანოველების შემოქმედებითს ღონისძიებებს. კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურებისათვის გიგანტური ტურბინების შექმნით ჩვენი კადრები წყვეტენ ისეთ პრობლემებს, რომელთა ბადალი არ ყოფილა მანქანათმშენებლობის ისტორიაში. აი ამიტომ მეცნიერო-სკკლევემ დაწესებულებებმა და საწარმოებმა ღრმად და ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ დიად მშენებლობათათვის ახალი გაუმჯობესებული ტექნიკის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები.

ჯერ კიდევ ყველა ორგანიზაცია, რომელსაც დიად მშენებლობათა დაკვეთები აქვს, ვერ მუშაობს თავისი ძალებისა და შესაძლებლობის მიხედვით. დიდი დაგვიანებით შეუდგა კვლევითს სამუშაოებს ჰიდროტურბომშენებლობის დარგში ხარკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ჰიდრომანქანათმშენებლობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა არსებითი დახმარება გაუწია საწარმოებს, რომლებიც მძლავრ ტუმბოებს ამზადებენ დიადი მშენებლობებისათვის. მაგრამ იგი შეუწყნარებლად უგვიანებს უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებს სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხანას, სადაც უნდა მოეწყოს კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტურბინების დამზადება.

დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულება თვითეული სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივის ღირსების საქმეა. საჭიროა ყოველი ღონისძიებით განმტკიცდეს და განვითარდეს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებთან შექმნილმა ხელშემწყობმა კომიტეტმა და კომისიებმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ დიად მშენებლობებსა და საწარმოებს, რომლებიც მათ დაკვეთებს ასრულებენ. ამასთანავე საჭიროა დროზე გადაწყვეტილ მშენებლობის პროცესში წარმოშობილი ამოცანები, უზრუნველყონ ცოდნის სხვადასხვა დარგის მეცნიერი მუშაკებისა და საქმის პრაქტიკოსების, წარმოების ნოვატორების ღონისძიებათა კოორდინაცია. ახალი მანქანებისა და მექანიზმების, სპეციალიზებული დაზგების, სამარჯვებისა და ინსტრუმენტების შექმნა, წარმოების მთელი კულტურის ამაღლების ფართო ღონისძიებანი — აი ეს და მრავალი სხვა ამოცანა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკებმა მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობით უნდა გადაწყვიტონ.

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა. ჩვენი ქვეყნის ათასობით საწარმოში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიად მშენებლობათა დაკვეთების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. თვითეულ საბჭოთა ადამიანს პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნია თავისი შრომით შეიტანოს წვლილი სტალინური ეპოქის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა შექმნაში. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა განავითარონ მასების შემოქმედებითი ინიციატივა, წარმართონ იგი გეგმებისა და დავალებათა შესასრულებლად, კომუნიზმის მშენებლობებისათვის დახმარების გასაძლიერებლად.

ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო სამუშაოთა გიგანტური გაქანება მოწმობს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერებას, მის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. ამ მშენებლობათა განხორციელებაში აქტიური მონაწილეობით ჩვენი ქვეყნის ხალხები იბრძვიან მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ახალი წარმატებებისათვის.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მშრომელები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მიმართულ წერილში, რომელიც დღეს ქვეყნდება, ვალდებულებას კისრულობენ ვადამდე შეასრულონ 1952 წლის გეგმა. გამოხატავენ რა მილიონობით საბჭოთა ადამიანის ფიქრებსა და გრძნობებს, ისინი წერენ:

„პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ მთელ ძალღონეს მოვახმართ ჩვენი ვალდებულებების შესრულებას და ამით ახალ წვლილს შევიტანთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში“.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ შთაგონებული საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებს სამშობლოს კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

„პრავდის“ 6-III მოწინავე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1952 წლის 6 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ

6 მარტს, საღამოს 7 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

სხდომის თავმჯდომარე—კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი** სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს, ამხ. **ა. გ. ზverევს.**

ა. გ. ზverევის მოხსენების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღის წესრიგის საკითხთა განხილვის წესის თანახმად, რომელიც პალატებმა მიიღეს, საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, კამათი ბიუჯეტის გამო და ბიუჯეტის დამტკიცება მოხდება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალცალკე სხდომებზე.

ამით კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა მთავრდება.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები მგზნებარე გულითადად სალამს გიძღვნიან თქვენ, მშრომელთა გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდ მედროშეს!

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, თქვენი ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას, წარმატებით იბრძვის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა ადამიანები უდიდესი აღფრთოვანებით მონაწილეობენ მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისა და არხების მშენებლობაში, ახორციელებენ ბუნების გარდაქმნის გრანდიოზულ გეგმას. საბჭოთა ადამიანების გმირული, თავდადებული შრომა დღითიდღე აახლოებს ჩვენს სამშობლოს დიად მიზანთან — კომუნიზმთან.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

მოსკოვის საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა შარშან თქვენს სახელზე გამოგზავნილ წერილში პირობა დადეს ვადამდე შეესრულებინათ 1951 წლის სახელმწიფო გეგმა და გაეუმჯობესებინათ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

გაცნობებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ეს ვალდებულებანი წარმატებით შევასრულეთ. მასობრივი სოციალისტური შეჯიბრებისა და შინაგანი რეზერვების ფართოდ გამოყენების საფუძველზე ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობამ 14 დეკემბერს, ანუ ვალდებულებით ნაკისრ ვადაზე 6 დღით ადრე, შეასრულა საერთო პროდუქციისა და ძირითად ნაკეთობათა გამოშვების 1951 წლის სახელმწიფო გეგმა.

გასულ წელს მოსკოვის მრეწველობის წარმოების მოცულობა 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 17 პროცენტით, მუშათა შრომის ნაყოფიერება გადიდდა 11 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული, რითაც გეგმის გადამეტებით მიღებულია მნიშვნელოვანი ეკონომია. საწარმოებში ათვისებულია ახალი სახის პროდუქციის წარმოება და მოგვარებულია მისი გამოშვება.

მოსკოვის რკინიგზის კვანძის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს დატვირთვა-გადმოტვირთვის სახელმწიფო გეგმა, შეამცირეს ტვირთზიდვის თვითღირებულება და მიაღწიეს ვაგონების მიმოქცევის შემდგომ დაჩქარებას. უფრო ორგანიზებული და შეწყობილი გახდა რკინიგზის ტრანსპორტის ყველა რგოლის მუშაობა.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში გრძელდებოდა მუშაობა ახალი ტექნიკის, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესებისა და შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დასანერგავად, დიდი მასშტაბით ხორციელდებოდა შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ეს წარმატებანი მიღწეულია მუშებისა და ინტელიგენციის თავდადებული შემოქმედებითი შრომის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად. ცდილობდნენ რა შეესრულებინათ სახელმწიფო გეგმები, სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი თავიანთ ღონისძიებებს წარმართავდნენ იქითკენ, რომ ყოველმხრივ გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი და შეემცირებინათ ძისი თვითღირებულება, დაეზოგათ ნედლეული და მასალები, სათბობი და ელექტროენერგია, უფრო სრულად გამოეყენებინათ შინაგანი რეზერვები, დაენერგათ ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, შემდგომ გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება და აემაღლებინათ წარმოების კულტურა.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოების საწარმოო საქმიანობის შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა მუშაობამ, რაც მიმდინარეობდა მოწინავე სტახანოვური გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და მასობრივი გავრცელებისათვის. ინჟინერ კოველენოვის მეთოდით, რომელიც ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა იმისა, რომ ყველა მუშა მოწინავეთა დონემდე ავიყვანოთ. ამ მეთოდის გამოყენებამ ბევრ საწარმოში შესაძლებელი გახადა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გადიდება, მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ სტახანოველების მარიამ ლევჩენკოს და გრიგოლ მუხანოვის და კრასნოზნამენსკის ფაბრიკის მქსოველ ანა ფედოსეევას თაოსნობით საწარმოებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა თვითეული საწარმოს რეზერვების უფრო სრულად გამოყენება.

ლიუბლინოს კაგანოვიჩის სახელობის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის ხარატების ანტონინა ჟანდაროვას და ოლღა აგაფონოვას ინიციატივით დაწყებულ სოციალისტურ შეჯიბრებას თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესოდ შესრულებისათვის ფართოდ დაუჭირეს მხარი ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის ბევრ საწარმოში და ეს შეჯიბრება საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალება გახდა.

გასული წლის დამლევს ძვირფასი თაოსნობა გამოიჩინეს სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა. მათ წინადადება წამოაყენეს დაწყებულიყო სოციალისტური შეჯიბრება თვითეულ ნაწარმზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის. ამ თაოსნობამ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა ლითონდამამუშავებელ ქარხნებში.

მოსკოვის საწარმოებში ფართოდ გავრცელდა მოძრაობა ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის, რემონტიდან რემონტამდე მოწყობილობის ექსპლოატაციის ვადების გადიდებისათვის და მოწყობილობის მუშაობის რეჟიმების გაუმჯობესებისათვის. მანქანათმშენებელ ქარხნებში სულ უფრო მეტად იყენებენ ლითონის დამუშავების ჩქაროსნულ მეთოდს.

მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვის პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი მზრუნველობის მეოხებით მრეწველობაში და ტრანსპორტზე გაიზარდა ინჟინერთა და ტექნიკოსთა რიცხვი, შექმნილია ყველა პირობა მუშათა და მოსამსახურეთა ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის საწარმოთა ათეულ ათასობით მუშა სწავლობს ინსტიტუტების, ტექნიკუმების დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებში, საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, იმაღლებს ცოდნას კურსებზე და სტახანოვურ სკოლებში. მტკიცდება მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა კავშირი, რაც ხელს უწყობს საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას და ამასთან ერთად ამდიდრებს მეცნიერებას წარმოების ნოვატორთა გამოცდილებითა და შემოქმედებითი აზრით.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში უეჭველი წარმატებებია. მაგრამ ჩვენ ვერ დავჯერდებით მიღწეულ შედეგებს. მოსკოვში და მოსკოვის ოლქში ჯერ კიდევ არის საწარმოები, რომლებიც ვერ ახერხებენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას, ვერ ასრულებენ დავალებებს პროდუქციის ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და ხარისხის დარგში, ჩამორჩებიან ახალი ტექნიკის ათვისების გეგმების შესრულებაში. მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში მოგვარებული არ არის რიტმული მუშაობა, ჯერ კიდევ დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგი, საკმარისი მუშაობა არ წარმოებს ნედლეულისა და მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. მრეწველობისა და ტრანსპორტის ზოგიერთ საწარმოში ჯეროვანი ბრძოლა არ წარმოებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამ ნაკლოვანებათა რაც შეიძლება მალე გამოსწორება ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

შევიდნენ რა ახალ, 1952 წელში, ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა საერთო კრებებზე განიხილეს და ერთსულოვნად იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი. გაცნობებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, ამ ვალდებულებებს.

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოები

ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 100 ათასი ტონა ქვანახშირი. გავაუმჯობესოთ ქვანახშირის კომბაინების, საყელავი მანქანებისა და ქვანახშირის დასატვირთავი მანქანების გამოყენება, მივაღწიოთ იმას, რომ ფართოდ დაინერგოს წარმოების ორგანიზაცია ციკლურობის გრაფიკის მიხედვით. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებითა და მთელი საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებით გეგმის გადამეტებით დავაგროვოთ სულ მცირე 5 მილიონი მანეთი. 1952 წელს ავაშენოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ 5 ახალი შახტი.

ელექტროსადგურების სამინისტროს საწარმოები

გადაჭარბებით შევასრულოთ ელექტროენერგიისა და თბოენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა, უზრუნველყოთ მრეწველობის, ტრანსპორტისა და ქალაქის მეურნეობის შეუფერხებელი მომარაგება ელექტროენერგიით.

ვადამდე შევასრულოთ გენერატორული სიმძლავრის 7 პროცენტით, სატრანსფორმატორო სიმძლავრის 11 პროცენტით, ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზების სიგრძის 5 პროცენტით გაზრდის დავალება. გეგმასთან შედარებით დავზოგოთ 20 ათასი ტონა პირობითი საბობი და 20 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. შევამციროთ კილოვატ-საათი ელექტროენერგიის თვითღირებულება და გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 5 მილიონი მანეთი. ვადამდე შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა. შატურისა და ორეხოვო-ზუევოს ტორფის ტრესტების საწარმოებში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 220 ათასი ტონა ტორფი.

შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 11,8 მილიონი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 3,3 მილიონი მანეთი.

მოსკოვის ოლქში. ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 17 მილიონი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 3 მილიონი მანეთი. დავზოგოთ 200 ტონა ლითონი და 1,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ძვირფასი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. წლიური გეგმა შევასრულოთ 24 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 9 მილიონი მანეთი.

მოსკოვის ოლქში. წლიური გეგმა შევასრულოთ 22 დეკემბრისათვის. პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შევამციროთ 0,5 პროცენტით და გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 8 მილიონი მანეთი. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 2 პროცენტის გადაჭარბებით.

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 2 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 0,75 პროცენტით გეგმასთან შედარებით. დავზოგოთ 300 ტონა ლითონი და 215 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

მოსკოვის ოლქში. წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1,1 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 1 პროცენტით გეგმასთან შედარებით. დავზოგოთ 1.200 ტონა ლითონი, 1,6 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 500 ტონა პირობითი საბობი.

საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. წლიური გეგმა შევასრულოთ 26 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1,5 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 19 მილიონი მანეთი. დავზოგოთ 5 ათასი ტონა ლითონი, 3 ათასი ტონა პირობითი საბობი და 6 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

მოსკოვის ოლქში. წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 2 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 0,4 პროცენტით გეგმასთან შედარებით. გეგმის გადამეტებით დავაგროვოთ 2,3 მილიონი მანეთი. დავზოგოთ 600 ტონა ლითონი, 930 ტონა პირობითი საბობი და 1.250 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

დაზგათმშენებლობის სამინისტროს საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის. ყველა ქარხანაში ვადამდე შევასრულოთ ახალი დაზგების წარმოების ათვისების დავალება. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1 პროცენტის გადაჭარბებით. გეგმის გადამეტებით დავაგროვოთ 4.860 ათასი მანეთი. დავზოგოთ 1.875 ტონა ლითონი, 2.200 ტონა პირობითი საბობი და 3,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

მოსკოვის ოლქში. წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1,2 პროცენტის გადაჭარბებით. შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება და ამ გზით გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 2 მილიონი მანეთი. დავზოგოთ 220 ტონა ლითონი, 1.200 ტონა პირობითი საბობი, 1.230 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. ვადამდე ავითვისოთ 9 მეტრი დიამეტრის პლანშაიბიანი ახალი კარუსელური დაზგების, ჰიდროსატეხი და ჰორიზონტალურ-კბილსაღარველი დაზგების წარმოება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი ყაზახურ ენაზე

ალმა-ატა, 4 მარტი. (საკ.). ყაზახეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე გამოცემად ყაზახურ ენაზე გამოუშვა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“, „დიადი გარდატეხის წელი“, „თვითკრიტიკის ლოზუნგის გაუხამსების წინააღმდეგ“.

ნ. ვ. გოგოლის მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული ხუთ ტომად

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ დაამთავრა ნ. ვ. გოგოლის მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულის გამოშვება ხუთ ტომად. დიდი მწერლის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის გამოვიდა და ხელისმომწერლებს ეგზავნება ხუთტომეულის უკანასკნელი წიგნი.

პირველ ტომში შევიდა „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“, მეორეში — „მირგოროდი“, მესამეში — 1835-1842 წლების მოთხრობები, მეოთხეში—დრამატული ნაწარმოებნი, მეხუთეში—„მკვდარი სულები“ (პირველი და მეორე ნაწილი).

ხუთტომეული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. ძირითად ტექსტებს ამ ხუთტომეულში თან ახლავს მოკლე შენიშვნები, რომლებიც შეიცავენ მწერლის ტექსტისა და შემოქმედებითი გზის გაშუქებისათვის უაღრესად საჭირო ცნობებს. (საკ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სესიის გახსნა

5 მარტს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია მუშაობას შეუდგა საბჭოთა ქვეყნის ხალხების უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, ხალხებისა, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

იზრდება და მტკიცდება ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა. ამას მკაფიოდ მოწმობს 1951 წლის შედეგები. გადაჭარბებით შესრულდა მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა. მიღწეულია შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება, გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა. მარცვლეული კულტურების მოსავალმა შეადგინა 7,4 მილიარდი ფუთი. განუხრელად უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა. 1950 წელთან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი, რომელიც მთლიანად მშრომელებს ეკუთვნის. ყოველმხრივ ვითარდება ჩვენი ხალხის კულტურა.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მშრომელები ენთუზიაზმით აშენებენ მსოფლიოში უდიდეს ჰიდროელექტროსადგურებსა და არხებს. შემოქმედებითს შრომაში ჩაბმული საბჭოთა ადამიანები მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან.

ბოლშევიკური პარტიის მიერ აღფრთოვანებული ჩვენი ხალხი, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, მტკიცედ მიდის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

კავშირის საბჭოში

დღის 2 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა. სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე სასახლე გაივსო ხალხის რჩეულებით, რომლებიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხიდან.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი**, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ა. ი. კირიჩენკო, ტ. მ. ზუევა, ა. ი. ნიაზოვი.**

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო,** რომელთაც შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

სტუმრების ლოჟებში არიან მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **იასნოვი** პალატის სხდომას გახსნილად აცხადებს. იგი ცხრა საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ა. მ. პუზანოვს.** დეპუტატი პუზანოვი აცხადებს, რომ ცხრავე საარჩევნო ოლქში არჩევნები მოეწყო სსრ კავშირის კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

დეპუტატებად არჩეული არიან: ზაპოროჟიეს ოლქის მელიტოპოლის № 430 საარჩევნო ოლქში — **ს. ფ. პოლოვკოვი,** ქალაქ მოსკოვის ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში — **ა. ნ. ბაკულევი,** კუიბიშევის ოლქის სიზრანის № 203 საარჩევნო ოლქში — **ლ. ნ. ეფრემოვი,** პენზის ოლქის სერდობსკის № 251 საარჩევნო ოლქში — **პ. ს. დუბინკინი,** სარატოვის ოლქის ბალაშოვის № 274 საარჩევნო ოლქში — **გ. ვ. ორლოვი,** ჩელიაბინსკის ოლქის მაგნიტოგორსკის № 327 საარჩევნო ოლქში — **ა. ფ. ბორისოვი,** კიევის ოლქის ტარაშჩის № 447 საარჩევნო ოლქში — **ი. ი. სტაფიჩუკი,** იაზახეთის სსრ ყარაგანდის № 587 სასოფლო საარჩევნო ოლქში— **ს. ი. იაკოვლევი,** მოსკოვის ოლქის ეგორიევსკის № 26 საარჩევნო ოლქში — **ი. ვ. კაპიტონოვი.**

დეპუტატ **ი. პ. პეტროვის** წინადადებით ერთხმად მტკიცდება სამანდატო კომისიის მოხსენება კავშირის საბჭოს ყველა ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

დეპუტატი **იასნოვი** აცხადებს, რომ განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. დამტკიცება სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა.

2. დამტკიცება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

დეპუტატ **ა. ბ. არისტოვის** წინადადებით მიღებულ იქნა დადგენილება დღის წესრიგში ამ საკითხების შეტანის შესახებ.

შემდეგ დეპუტატ **ა. ნ. ეგოროვის** წინადადებით მიღებულ იქნა დღის წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგი წესი: მოხსენება სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოსმენილ იქნას ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე; საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება — პალატების ცალცალკე სხდომებზე. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების მოსასმენად გადაწყდა მოეწყოს 6 მარტს საღამოს 7 საათზე.

ამით იხურება კავშირის საბჭოს სხდომა.

ეროვნებათა საბჭოში

დღის 4 საათზე კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **უ. შაიახმეტოვი,** თავმჯდომარის მოადგილეები—დეპუტატები **მ. ტ. იაკუბოვი, ვ. ტ. ლაცისი, თ. მ. მათიაშვილი.**

მთავრობის ლოჟებში ადგილებს იკავებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **ა. ი. მიკოიანი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. თ. შკირიატოვი,** რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დეპუტატმა შაიახმეტოვმა გახსნა პალატის სხდომა და ცხრა საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. გ. კებინს.**

დეპუტატი კებინი აცხადებს, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან: საქართველოს სსრ სუხუმის № 126 საქალაქო საარჩევნო ოლქში — **მ. ი. კუპავა,** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის № 619 საარჩევნო ოლქში—**ვ. დ. კუპრაძე,** რსფსრ გორკის № 15 საარჩევნო ოლქში — **ნ. ნ. ბლოხინი,** მორდვეთის ასსრ კრასნოსლობოდსკის № 508 საარჩევნო ოლქში — **მ. ი. სამსონკინა,** რსფსრ კრასნოდარის № 12 საარჩევნო ოლქში — **ვ. მ. სუსლოვი,** დაღისტნის ასსრ ხუნძახის № 450 საარჩევნო ოლქში — **მ. მ. მეჯიდოვი,** მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გადრუტის № 601 საარჩევნო ოლქში—**დ. გ. ავანესიანი,** ლიტვის სსრ პანევეჟისის № 183 სასოფლო საარჩევნო ოლქში—**ო. პ. ბალტუშნიკენე** და თათრეთის ასსრ ნოვო-შეშმინსკის № 543 საარჩევნო ოლქში — **მ. ზ. აზიზოვი.**

დეპუტატ **ი. ს. გრუშეცკის** წინადადებით ერთხმად მტკიცდება სამანდატო კომისიის მოხსენება ეროვნებათა საბჭოს ყველა ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებათა სწორად ცნობის შესახებ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია საკითხები:

1. დამტკიცება სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა.

2. დამტკიცება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა.

დეპუტატ **ნ. უ. ბაზანოვას** წინადადებით ეროვნებათა საბჭოს ეს საკითხები შეაქვს სესიის დღის წესრიგში.

მიღებულ იქნა დეპუტატ **ი. პ. ყუჯიაშვილის** წინადადება დღის წესრიგის საკითხების განხილვის წესის შესახებ: მოხსენება სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოსმენილ იქნას ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე; საბიუჯეტო კომისიების თანამოხსენებანი, ბიუჯეტის განხილვა და მისი დამტკიცება, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება მოხდეს პალატების ცალცალკე სხდომებზე. პირველი გაერთიანებული სხდომა გაიმართოს 6 მარტს საღამოს 7 საათზე.

ამით იხურება ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომა. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეკუზაკ ა. მ. პუზანოვის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შემდეგ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 108-ე მუხლის შესაბამისად მოხდა კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევნები ცხრა საარჩევნო ოლქში გამოკლებულ დეპუტატების ნაცვლად.

1951 წლის 27 მაისს არჩევნები მოხდა ზაპოროჟიეს ოლქის მელიტოპოლის № 430 საარჩევნო ოლქში, 1951 წლის 24 ივნისს—ქალაქ მოსკოვის ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში და კუიბიშევის ოლქის სიზრანის № 203 საარჩევნო ოლქში, 1951 წლის 1 ივლისს—პენზის ოლქის სერდობსკის № 251 საარჩევნო ოლქში, 1951 წლის 28 ოქტომბერს — სარატოვის ოლქის ბალაშოვის № 274 საარჩევნო ოლქში და ჩელიაბინსკის ოლქის მაგნიტოგორსკის № 327 საარჩევნო ოლქში, 1951 წლის 23 დეკემბერს—კიევის ოლქის ტარაშჩის № 447 საარჩევნო ოლქში, 1952 წლის 27 იანვარს — ყაზახეთის სსრ ყარაგანდის № 587 სასოფლო საარჩევნო ოლქში, 1952 წლის 24 თებერვალს — მოსკოვის ოლქის ეგორიევსკის № 26 საარჩევნო ოლქში.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მოეწყო საარჩევნო ოლქების იმ ფარგლებში, რომლებიც დაწესებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1950 წლის მარტის საერთო არჩევნების დროს.

კავშირის საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 46-ე მუხლის შესაბამისად ახორციელებდა არჩევნების ხელმძღვანელობას.

ცხრავე საარჩევნო ოლქში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.388.755 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს ამ ოლქების ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტს. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 1.387.873 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,94 პროცენტს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის საფუძველზე კავშირის საბჭოს პირველ სესიაზე არჩეულმა სამანდატო კომისიამ ცხრავე საარჩევნო ოლქის მიხედვით შეამოწმა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო დოკუმენტები და მასალები თვითეულ არჩეულ დეპუტატზე, განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიების ოქმები დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ და ოქმები კენჭისყრის შედეგების შესახებ.

თვითეული არჩეული დეპუტატის დოკუმენტებისა და მასალების შემოწმების შემდეგ სამანდატო კომისიამ დაადგინა, რომ კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნები ცხრავე საარჩევნო ოლქში მოხდა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი არ არის არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება არ არის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ. კავშირის საბჭოს დეპუტატთა არჩევნების არც ერთ საარჩევნო ოლქში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კავშირის საბჭოს სამანდატო კომისია სწორად ცნობს კავშირის საბჭოს არჩეული დეპუტატების: მელიტოპოლის № 430 საარჩევნო ოლქში საველი თეოდორეს-ძე პოლოკოვის, ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ბაკულევის, სიზრანის № 203 საარჩევნო ოლქში ლეონიდე ნიკოლოზის-ძე ეფრემოვის, სერდობსკის № 251 საარჩევნო ოლქში პავლე სიმონის-ძე დუბინკინის, ბალაშოვის № 274 საარჩევნო ოლქში გრიგოლ ვასილის-ძე ორლოვის, მაგნიტოგორსკის № 327 საარჩევნო ოლქში ალექსანდრე ფილიპეს-ძე ბორისოვის, ტარაშჩის № 447 საარჩევნო ოლქში ივანე ოსიპის-ძე სტაფიჩუკის, ყარაგანდის № 587 სასოფლო საარჩევნო ოლქში სერგი იაკობის-ძე იაკოვლევისა და ეგორიევსკის № 26 საარჩევნო ოლქში ივანე ვასილის-ძე კაპიტონოვის რწმუნებებს".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეკუზაკ ი. გ. კებინის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 108-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს II და III სესიებს შორის მოხდა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად ცხრა საარჩევნო ოლქში.

1951 წლის 27 მაისს არჩევნები მოხდა საქართველოს სსრ სუხუმის № 126 საქალაქო საარჩევნო ოლქში.

1951 წლის 24 ივნისს არჩევნები მოხდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის № 619 საარჩევნო ოლქში.

1951 წლის 8 ივლისს არჩევნები მოხდა რსფსრ გორკის № 15 საარჩევნო ოლქში.

1951 წლის 29 ივლისს არჩევნები მოხდა მორდვეთის ასსრ კრასნოსლობოდსკის № 508 საარჩევნო ოლქში.

1951 წლის 30 სექტემბერს არჩევნები მოხდა რსფსრ კრასნოდარის № 12 საარჩევნო ოლქში, დაღისტნის ასსრ ხუნძახის № 450 საარჩევნო ოლქში და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გადრუტის № 601 საარჩევნო ოლქში.

1951 წლის 25 ნოემბერს არჩევნები მოხდა ლიტვის სსრ პანევეჟისის № 183 სასოფლო საარჩევნო ოლქში და თათრეთის ასსრ ნოვო-შეშმინსკის № 543 საარჩევნო ოლქში.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნებისას ზემოაღნიშნულ საარჩევნო ოლქებში ოლქების ფარგლები იგივე იყო დატოვებული, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1950 წლის მარტის არჩევნებისას.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში შექმნილი იყო საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების 50-ე მუხლის შესაბამისად ახორციელებდა არჩევნების ხელმძღვანელობას.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 5.525.534 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს აღნიშნული ოლქების ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტს. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 5.517.369 ამომრჩეველმა, რაც შეადგენს კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა მთელი რიცხვის 99,85 პროცენტს.

ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიამ სსრ კავშირის კონსტიტუციის 50-ე მუხლის საფუძველზე ცხრავე საარჩევნო ოლქის მიხედვით შეამოწმა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ წარმოდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ოქმები და საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის ოქმები, აგრეთვე კანდიდატთა თანხმობა კენჭი ეყარათ სათანადო საარჩევნო ოლქში. საჩივრები და განცხადებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში არ შემოსულა.

დოკუმენტების შემოწმების შედეგად სამანდატო კომისიამ დაადგინა, რომ ცხრავე საარჩევნო ოლქში არჩევნები მოხდა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესაბამისად, და, მაშასადამე, არავითარი საფუძველი არ არის არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში.

ამის გამო სამანდატო კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, რომელსაც ადგენს ეროვნებათა საბჭოს დასამტკიცებლად:

„სამანდატო კომისიამ შეამოწმა მთელი საარჩევნო დოკუმენტები თვითეულ დეპუტატზე ცალცალკე, რაც ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებმა წარმოადგინეს ცხრა საარჩევნო ოლქის — საქართველოს სსრ სუხუმის № 126 საქალაქო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის № 619, რსფსრ გორკის № 15, მორდვეთის ასსრ კრასნოსლობოდსკის № 508, რსფსრ კრასნოდარის № 12, დაღისტნის ასსრ ხუნძახის № 450, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გადრუტის № 601, ლიტვის სსრ პანევეჟისის № 183 სასოფლო და თათრეთის ასსრ ნოვო-შეშმინსკის № 543 ოლქების მიხედვით და ადგენს:

1. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები ზემოჩამოთვლილ ცხრავე საარჩევნო ოლქში მოხდა სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე და სრული შესაბამისობით.

2. არავითარი საფუძველი არ არის არჩევნების გაუქმებისათვის რომელიმე საარჩევნო ოლქში, აგრეთვე არავითარი საჩივარი და განცხადება არ არის სსრ კავშირის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების დარღვევის შესახებ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევნების რომელიმე საარჩევნო ოლქში.

აღნიშნულის საფუძველზე ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისია სწორად ცნო ეროვნებათა საბჭოს არჩეული დეპუტატების: საქართველოს სსრ სუხუმის № 126 საქალაქო საარჩევნო ოლქში მიტროფანე იონას-ძე კუპავას, ზნაურის № 619 საარჩევნო ოლქში ვიქტორ დიმიტრის-ძე კუპრაძის, გორკის № 15 საარჩევნო ოლქში ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ბლოხინის, კრასნოსლობოდსკის № 508 საარჩევნო ოლქში მარიამ იაკობის ასულ სამსონკინას, კრასნოდარის № 12 საარჩევნო ოლქში ვიქტორ მაქსიმეს-ძე სუსლოვის, ხუნძახის № 450 საარჩევნო ოლქში მაჰმედ მეჯიდის-ძე მეჯიდოვის, გადრუტის № 601 საარჩევნო ოლქში ჯავად გრიგოლის-ძე ავანესიანის, პანევეჟისის № 183 სასოფლო საარჩევნო ოლქში ონა პეტრეს ასულ ბალტუშნიკენეს და ნოვო-შეშმინსკის № 543 საარჩევნო ოლქში — მირგარიფან ზამალეის-ძე აზიზოვის რწმუნებანი".

ამ ნომერში:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ელექტრომრეწველობის სამინისტროს საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1,3 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 5.274 ათასი მანეთი. დავზოგოთ 1.854 ტონა ლითონი, 2.363 ტონა პირობითი სათბობი და 4 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

მოსკოვის ოლქში. წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1,5 პროცენტის გადაჭარბებით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 1,5 მილიონი მანეთი. დავზოგოთ 800 ტონა პირობითი სათბობი და 1.260 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და დაზოგილი ნედლეულით გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ: 1.200 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი, 420 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 30 ათასი ცალი შეკერილი ნაწარმი, 300 ათასი წყვილი წინდის ნაწარმი, 218 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი. გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 2 მილიონ 100 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი. ნორმით გათვალისწინებულთან შედარებით დაკზოგოთ 46 ტონა ბამბა, 30 ტონა მატყლი. 6.450 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი, 182 ათასი მეტრი ქსოვილი. გეგმის გადამეტებით დავზოგოთ სულ მცირე 13 მილიონი მანეთი. რთვასა და ქსოვაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1 პროცენტის გადაჭარბებით. პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება გეგმასთან შედარებით გავადიდოთ 0,5 პროცენტით, გავაფართოოთ მასობრივი მოხმარების საქონლის ასორტიმენტი.

მოსკოვის ოლქში. ვადამდე შეკასრულოთ წლიური გეგმა და დაზოგილი ნედლეულით გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ: 4 მილიონი მეტრი ბამბის ქსოვილი, 70 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 105 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი და 530 ათასი წყვილი წინდის ნაწარმი. ნორმებით გათვალისწინებულთან შედარებით დავზოგოთ: 880 ტონა ბამბა, 100 ტონა მატყლი, 1,3 მილიონი კვადრატული დეციმეტრი ტყავი, 74 ათასი მეტრი ქსოვილი. რთვასა და ქსოვაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1 პროცენტის გადაჭარბებით. გავაუმჯობესოთ და გავაფართოოთ ნაწარმის ასორტიმენტი, გავადიდოთ პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით დავზოგოთ სულ მცირე 24 მილიონი მანეთი.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში წლიური გეგმა შევასრულოთ 24 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 5,6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ადგილობრივი მრეწველობის საქალაქო განყოფილების საწარმოებში წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 80 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 2 პროცენტის გადაჭარბებით. გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 20 მილიონი მანეთი.

მოსკოვის ოლქში. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ: 4 მილიონი მეტრი ბამბის ქსოვილი, 70 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 105 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი და 530 ათასი წყვილი წინდის ნაწარმი. ნორმებით გათვალისწინებულთან შედარებით დავზოგოთ: 880 ტონა ბამბა, 100 ტონა მატყლი, 1,3 მილიონი კვადრატული დეციმეტრი ტყავი, 74 ათასი მეტრი ქსოვილი. რთვასა და ქსოვაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 1 პროცენტის გადაჭარბებით. გავაუმჯობესოთ და გავაფართოოთ ნაწარმის ასორტიმენტი, გავადიდოთ პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით დავზოგოთ სულ მცირე 24 მილიონი მანეთი.

ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები

ქალაქ მოსკოვში. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში წლიური გეგმა შევასრულოთ 24 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 5,6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ადგილობრივი მრეწველობის საქალაქო განყოფილების საწარმოებში წლიური გეგმა შევასრულოთ 20 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 80 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა შევასრულოთ 2 პროცენტის გადაჭარბებით. გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 20 მილიონი მანეთი.

მოსკოვის ოლქში. ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 103 მილიონი მანეთის პროდუქცია. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 10 მილიონი მანეთი.

მოსკოვის რკინიგზის კვანძი

ვადამდე შევასრულოთ დატვირთვის სახელმწიფო გეგმა. თვითეულ დებში გადაჭარბებით შევასრულოთ ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმა. დავალებით გათვალისწინებულთან შედარებით თვითეულ განყოფილებაში სულ მცირე 0,5 საათით დავაჩქაროთ ვაგონების მიმოქცევა. შევამციროთ ტვირთზიდვის თვითღირებულება და გეგმის გადამეტებით დავზოგოთ 36 მილიონი მანეთი. დავზოგოთ 32 ათასი ტონა პირობითი სათბობი და 4.856 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია. წლის განმავლობაში გავატაროთ მძიმე წონაზე 30 ათასი მატარებელი და ამ საშუალებით დაწესებული ნორმის გადამეტებით გადავზიდოთ 7.750 ათასი ტონა ტვირთი. გავაუმჯობესოთ მგზავრთა მომსახურება.

კონკრეტული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ფერადი მეტალურგიის, ნავთის მრეწველობის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, გზათა, ქალაქისა და ხისგადამამუშავებელი მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო ფლოტის, ადგილობრივი სამრეწველოების, კეშირგაბმულობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების საწარმოთა კოლექტივებმა.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

საწარმოთა კოლექტივების მიერ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა საფუძველზე ჩვენ გამოვიანგარიშეთ, რომ შესაძლებლობა გვაქვს საერთო პროდუქციისა და ძირითადი ნაწარმის გამოშვების 1952 წლის სახელმწიფო გეგმა მთლიანად ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობაში შეასრულოთ ვადამდე, 20 დეკემბრისათვის.

ყველა ჩვენს საწარმოში გავაჩაღებთ თავგამოდებულ ბრძოლას ნაწარმის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ვეცდებით მივაღწიოთ იმას, რომ მოსკოვის მრეწველობის პროდუქცია მხოლოდ კარგი და საუკეთესო ხარისხისა იყოს.

ვალდებულებას ვკისრულობთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების უფრო ეფექტიანად გამოყენებით 1952 წელს გეგმის გადამეტებით დავაგროვოთ 500 მილიონი მანეთი. კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღებთ მოძრაობას ნედლეულის, ლითონის, საბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება რომ უზრუნველვყოთ, ვეცდებით შემდგომ გავაუმჯობესოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, განვამტკიცოთ შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინა. გავაძლიერებთ ბრძოლას თვითეული საწარმოს მიერ საწარმოო პროგრამის რიტმულად შესრულებისათვის, გავაუმჯობესებთ მუშაობას წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გასავრცელებლად და ახალი ტექნიკისა და მაღალი წარმადობის ტექნოლოგიის დასანერგავად, აგრეთვე მუშების მოსამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ჩვენ კიდევ უფრო ბეჯითად ვიმუშავებთ იმისათვის, რომ დავნერგოთ ინჟინერ კოვალიოვის მეთოდი, რომელიც მოწინავე სტახანოვური გამოცდილების შესწავლისა და ფართოდ გავრცელების ყველაზე ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

ფართოდ გავაჩაღებთ წარჩინებული ფეიქრების მარიამ როჟნევასა და ლიდია კონონკოს ინიციატივით დაწყებულ სოციალისტურ შეჯიბრებას 1952 წლის გეგმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შესრულებისათვის — თვითეულ სამუშაო ადგილზე დამატებითი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების გზით. ყოველი ლონისძიებით დავუჭერთ მხარს და გავავრცელებთ ყოველ ახალ თაოსნობას, შევქმნით ყველა აუცილებელ პირობას შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მშრომელებმა სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს თავიანთი საატრიოტული მოვალეობისა და ჩვენი დიდი სამშობლოს წინაშე პასუ

ჩაღდება ბრძოლა ლითონის ეკონომიისათვის

ბათუმის საწარმოთა კოლექტივები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა ნოვატორების პატრიოტულ ინიციატივას თვითეულ ნაკეთობაზე ლითონის ხარჯვის შემცირებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

მოსკოველთა ამ თაოსნობას ბათუმში პირველი გამოეხმაურა სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ახალგაზრდობა. ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლის ინიციატორებად ქარხანაში კომკავშირელები გამოვიდნენ. მოსკოველთა თაოსნობის გაცნობას მიეძღვნა საამქროთა კომკავშირული ორგანიზაციების კრებები, რომლებზეც ქარხნის ახალგაზრდობამ კონკრეტული ღონისძიებები შეიმუშავა და გადიდებული ვალდებულებები აკისრა.

ქარხნის მექანიკური საამქროს ახალგაზრდობამ ვალდებულება აიღო მთელი რიგი ტექნოლოგიური ღონისძიებების განხორციელებით, ლითონის ნარჩენებისა და დამუშავების რაციონალური ხერხების გამოყენებით, აგრეთვე წუნდებული პროდუქციის გამოშვების აღმოფხვრის გზით მიმდინარე წლის ბოლომდე დაზოგოს 11 ტონა ლითონი. ვალდებულებათა განადგურებისათვის საამქროში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმულთათვის გახსნილია პირადი ბარათები, რომლებშიც ყოველდღე შეაქვთ მონაცემები ლითონის დანაზოგის შესახებ.

ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლა დაიწყეს ბერიას სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაშიც. ქარხნის სამსხმელო საამქროს კოლექტივი დაწვრილებით გაეცნო მოსკოველთა თაოსნობას და შეუდგა დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ჩაის ღუმელების მილების შიგდიამეტრის გადიდების გზით მეყალიბე-ჩამომსხმელები თვითეულ კომპლექტზე ზოგავენ 284 კილოგრამ თუჯს, რაც წლის ბოლომდე ათასობით კილოგრამი ლითონის ეკონომიას მისცემს საწარმოს.

ამავე საამქროში ღვინის ჩამოსასხმელი მანქანის დგამის ჩამოსხმაზე დასაშუშავებელი სისქის შემცირებით თვითეულ ნაკეთობაზე ზოგავენ 5 კილოგრამ ლითონს, რაც თუჯის ეკონომიასთან ერთად საგრძნობლად ამცირებს მათი მექანიკური დამუშავების დროს.

ჩაის მჭრელი მანქანებისათვის საჭირო ქანჩების ჩამოსხმა ახლა მუდმივ ფორმებში ე. წ. კოკილებში წარმოებს, რაც სხმულის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებასთან ერთად ლითონის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა და ბევრად აადვილებს მათ შემდგომ დამუშავებას.

შავი და ფერადი ლითონების ხარჯვის შემცირებისაკენ არის მიმართული ამჟამად ქარხნის რაციონალიზატორთა ღონისძიებანი. მთავარი მექანიკოსის გ. ანთაძის წინადადებით 5-ტონიანი ამწეების დენის მიმღებებში ბრინჯაო შეცვლილია თუჯით, რითაც ქარხანაში დაზოგილია 144 კილოგრამი ბრინჯაო. კონსტრუქტორ შ. ჩაგუნავას წინადადებით საგრძნობლად გაამარტივეს ჰიდროტემპერის კონსტრუქცია. მასში 40 სხვადასხვა დეტალი შეცვლილია 6-ით, რითაც ყოველწლიურად დაიზოგება 205 კილოგრამი ბრინჯაო, 105 კილოგრამი თითბერი და 660 კილოგრამი მალალი ხარისხის ფოლადი.

მიუხედავად ამისა, ქარხანაში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გაშლილი საჭირო ახსნაგანმარტებითი მუშაობა მოსკოველ ავტომშენებელთა ძვირფასი ინიციატივის ფართოდ დანერგვისათვის. ლითონის ეკონომიისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მუშების მხოლოდ ნაწილი. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლის მოწინავეთა გამოცდილების ჩვენებასა და პროპაგანდას.

ქარხნის პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები დღემდე სათავეში არ ჩასდგომიან ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს.

ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლის საქმეში მოპოვებული პირველი წარმატებები იმის მაჩვენებელია, რომ ბათუმელ მანქანათმშენებლებს ამ დარგში დიდი შესაძლებლობები მოპოვებათ. ეს შესაძლებლობანი მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული.

დ. პაიჭაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი



ხოფლის მეურნეობის მექანიზაციის ველისციხის სკოლამ არსებობის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობას მისცა 7.000-მდე სპეციალისტი.

ხუროთმზე: სკოლის მესამე ჯგუფის მსმენელები პრაქტიკულ მეცადინეობაზე. წინაპლანზე მარცხნივ მასწავლებელი გ. ბეჟანიშვილი მსმენელებს აცნობს ტრაქტორის ნაწილებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

მაჩხაანის ზოოტექნიკუმში

სილნალი. (საეც. კორ.). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვემო მაჩხანის ზოოტექნიკუმს 1939 წლიდან ხელმძღვანელობს ამხ. გ. თარგამაძე. ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ზოოტექნიკოსებს.

ტექნიკუმში ყოველწლიურად იღებენ 60 მსმენელს, კურსდამთავრებულები სამუშაოდ იგზავნებიან აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებში.

სტუდენტები პრაქტიკულ ჩვევებსა და გამოცდილებას იღებენ კერძო და ზოგადი ზოოტექნიკის, ზოოჰიგიენის, ვეტერინარიის, სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის, ფიზიოლოგიის, მექანიზაციის და სხვა კაბინეტებში. ტექნიკუმს ჰყავს სპეციალისტ მასწავლებელთა კარგი კადრები. მათ შორის აღსანიშნავია მერი პაპავაშვილის, ოლია კვირიკაშვილის, ცისია ჯანყარაშვილის, ვეტექიმ პ. ჯალიაშვილის მუშაობა. ახლა მეოთხეკურსელები მიღებულ ცოდნას პრაქტიკით აღრმავებენ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის, სილნალის რაიონის ბოდბისხევის და ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობებში.

ტექნიკუმს აქვს სასწავლო მეურნეობა 30 ჰექტარზე. მოწყობილია მწვანე კონვეიერი, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულად ეცნობიან მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეს. ამ ტექნიკუმშა არსებობის პერიოდში სოფლის მეურნეობას ხუთასამდე ზოოტექნიკოსი მისცა.

მილიონერი ბრიგადის წარმატება

ქობულეთი. (საკ. კორ.). სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ამხ. რ. კონცელიძე ხელმძღვანელობს, 1950 წელს დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა და 1 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო. გასულ წელს კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა უხვი მოსავლისათვის. ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 6.200 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი აიღო. სულ ბრიგადამ ჩაის მოსავლიდან მიიღო 1 მილიონ 135 ათასი მანეთი.

ახლა ბრიგადაში წარმატებით ემზადებიან ჩაის კრეფის სეზონისათვის. მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 8 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ.

ბრიგადა შეუდგა ჩაის ბუჩქების გასხვლას.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები სასჯიკად უნდა დაისაჯონ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 25 იანვრის ნომერში დაბეჭდილი იყო „კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყვნენ აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საზოგადოებრივი ქონების გამნიავებლები და მიმთვისებლები.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მდივანი ამხ. ს. ებრალიძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ნადარეიშვილს, უკანონო აქტების შედგენისა და ანგარიშვალდებული პირებისათვის დიდი თანხების ჩამოწერისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური საორიცხვო ბარათში შეტანით, მეძროხეობის ფერმის გამგე გ. ყვანია საკოლმეურნეო ქონების მითვისებისათვის გარიცხულია პარტიის რიგებიდან. კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ე. ნადარეიშვილი, რომელმაც უკანონო აქტების შედგენით ანგარიშვალდებულ პირებს თანხები ჩამოაწერა, მოხსნილია სამუშაოდან; კოლმეურნეობის ვეტფერშალი პ. ყურუა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. გადელია საკოლმეურნეო თანხების მითვისებისათვის მიცემული არიან პასუხისგებაში.

რაჭომ მფარველობენ საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლებს ლიტოლა

ჭიათურის რაიონში არის სოფელ ტყემლოვანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა აკაკი კვიტინაძე. იგი ამ სოფლის მკვიდრი არ იყო, მაგრამ რაიონული ხელმძღვანელი ორგანოების რჩევით კოლმეურნეებმა თავმჯდომარედ აირჩიეს.

აკ. კვიტინაძემ მალე ხელი მიჰყო საკოლმეურნეო ქონების განიავებას. ტყემლოვანიდან ხშირად მიდიოდა მამხილებელი წერილები საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომში, რაიაღმასკომში.

აკ. კვიტინაძეს ბრალს სდებდნენ საკოლმეურნეო ქონების განიავება-მითვისებაში. წერილების ავტორები წერდნენ: ა. კვიტინაძემ კოლმეურნეობისათვის არასწორი გზით შეიძინა ნახმარი სატვირთო მანქანა, მის ნაწილებში და ბენზინში თავმჯდომარე თვითნებურად აძლევს შრომადღეებზე გასაცემ პროდუქტებს. ამავე დროს ა. კვიტინაძემ შეიძინა საკუთარი მსუბუქი მანქანა „მოსკვიჩი“, რომლისთვისაც კოლმეურნეობის ბენზინს იყენებს. სატვირთო მანქანა არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული, მისგან კოლმეურნეობამ ზარალი ნახა. შრომადღეებზე დასარიგებელი პროდუქტებით ყიდულობენ პირუტყვს, რაზეც ყალბ ხელწერილებსა და აქტებს ადგენენ. თავმჯდომარე კოლმეურნეებისაგან ყიდულობს მოცვის ჩაის, ჰყიდის სხვადასხვა ორგანიზაციებში და ამით ხელს ითბობს. აკ. კვიტინაძე თვითნებურად ანადგურებს საკოლმეურნეო ტყეებს, კოლმეურნეობის სახელით ჰყიდის, მაგრამ მხოლოდ თვითონ სარგებლობს.

კოლმეურნეობამ დაიწყო ადგილობრივი მნიშვნელობის ელადგურის შენებლობა. საგუბრის შენებლობაზე დიდძალი ცემენტი, თანხები და შრომა დაიხარჯა, მაგრამ უყურადღებობით საგუბარი წყალმა წალეკა და ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა.

კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია აღრიცხვა და შრომა, საწყობში ბოროტმოქმედება ხდება, ნთესებს ჯეროვნად არ ამუშავებენ, შრომადღის ღირებულება ეცემა, ირღვევა საკოლმეურნეო წესდება, თანხებს ბანკის გვერდის ავლით ხარჯავენ.

გასული წლის ოქტომბერში აკ. კვიტინაძის საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ბიურომ. არაფერს ვიტყვით საკითხის შემოწმების ობიექტურობაზე, მაგრამ ზოგი ფაქტი მაინც დადასტურდა, ა. კვიტინაძეს მხოლოდ საყვედური აკმარეს.

მიმდინარე წლის თებერვალში აკ. კვიტინაძე ანგარიშს აბარებდა სოფელ ტყემლოვანის კოლმეურნეთა საერთო კრებას. მომხსენებელს სახარბიელო არაფერი ჰქონდა სათქმელი. შრომის ცუდი ორგანიზაციით დიდძალი ნთესები დაუმუშავებელი დარჩა, მიღებული პროდუქტები არადანიშნულებისამებრ გაანიავეს, საწყობში არეულობა იყო, რითაც ქურდებმა და გაიძვერებმა ისარგებლეს, ხოლო შრომადღის ღირებულება დაეცა. აი ზოგიერთი დამახასიათებელი მონაცემები: ჰექტარზე 15 ცენტნერი სიმინდის ნაცვლად 5,7 ცენტნერი მიიღეს. ხორბალი კი 11-ის ნაცვლად 3,02 ცენტნერი. ასევე დაბალი იყო სხვა მარცვლეულის მოსავალი. საძარცხვინო მდგომაოეობაა მეცხოველეობის დარგშიც. ძალიან დაბალია პროდუქტიულობა. საწყობის გამგე ბ. კაპანაძემ თავმჯდომარესთან შეთანხმებით მიითვისა კოლმეურნეობის პროდუქტები. თავმჯდომარის განკარგულებით მარტო პირუტყვის შესაძენად 1951 წელს გაიცა 223 ცენტნერი სიმინდი, ავტომანქანის მხოლოდ ერთ ნაწილში კი 7 ცენტნერი პროდუქტი მისცეს (ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობამ 1951 წელს მთლიანად 1.225 ცენტნერი პროდუქტი მოიყვანა).

საანგარიშო კრებაზე კოლმეურნეები ლაპარაკობდნენ ნაკლოვანებებზე, საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლებზე, თვით ა. კვიტინაძეზე, წინადადება წამოაყენეს გამგეობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასებინათ. ისე მოხდა, რომ აკ. კვიტინაძის მუშაობა მაინც დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა და იგი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს.

ყოველივე ამის შემდეგ განა უცნაური არ არის, როცა აკაკი კვიტინაძეს იმავე დღეს რეკომენდაცია მისცეს და სოფელ სვერის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს! სულ ოთხი-ხუთი საათის შემდეგ საკოლმეურნეო დოვლათის გამნიავებელი აკ. კვიტინაძე კვლავ იდგა კოლმეურნეობის სათავეში მოექცა. ტყემლოვანელ კოლმეურნეებში ამ ამბავმა გაკვირვება გამოიწვია.

ინტერესს მოკლებული არ არის, ცოტა რამ გავიხსენოთ ახლო წარსულიდან. რამდენიმე წლის წინათ აკ. კვიტინაძე რაიაღმასკომის საგზაო განყოფილებას განაგებდა. იქ კეთილსინდისიერად არ მუშაობდა. საგზაო ბრიგადებს, რომლებსაც შრომადღეები კოლმეურნეობებში ეწერებოდათ და გზები უნდა ეკეთებინათ, აკ. კვიტინაძე ცირად მეურნეობაში ამუშავებდა. ეს ბოროტმოქმედება მაშინ ამხიოა გაზეთმა „კომუნისტმა“, მაგრამ ა. კვიტინაძეს მაშინაც საყვედური აკმარეს. შემდეგ აკ. კვიტინაძე რაიაღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორად დასვეს. აქედანაც გარკვეული ცოდვები მოსდიოს, მაგრამ თავს მაინც არხეინად გრძნობს.

საკითხავია რატომ მფარველობენ საკოლმეურნეო დოვლათის გამნიავებელსა და მიმთვისებელს? ნუთუ დრო არ არის ასეთ მანკიერ შეფობას ბოლო მოეღოს?

ჯ. ჯიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პედაგოგებისა და მოსწავლეების მისაბაძი თაოსნობა

ბორი. (საკ. კორ.). გორის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა გადაწყვიტეს განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაიწესონ სასკოლო შენობისა და ინვენტარისადმი, მიაღწიონ იმას, რომ სასკოლო ინვენტარსა და შენობას სულ ცოტა ორი წლის განმავლობაში არ დასჭირდეს შეკეთება.

თავიანთი გადაწყვეტილების გასანადგურებლად მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა გამოყვეს შენობისა და ინვენტარის მეთვალყურე კომისია. თვითეული მერხი, ყოველი სასკოლო ინვენტარი ჩაბარებული აქვთ მოსწავლეებს, რომლებიც ამ ინვენტარის მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი არიან მთელი კოლექტივის წინაშე. მეთვალყურეობა დაწესებულია აგრეთვე სასწავლო კაბინეტების, სასკოლო ლაბორატორიებისა და ყოველი სასწავლო ხელსაწყოსადმი.

ამ მაგალითს მიბაძეს გორის სხვა სასწავლებლებმაც.

კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრები კოლმეურნეობებს

ზესტაფონი. (საეც. კორ.). ამჟამად რაიონში არსებული 35 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან 29-ს საშუალო და უმაღლესი განათლება აქვს. მათ შორის თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობის სპეციალისტია.

კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კრებებთან დაკავშირებით წელს ახლად არჩეული 7 თავმჯდომარიდან ოთხს უმაღლესი განათლება აქვს, დანარჩენს კი უმაღლესი დაუმთავრებელი. ამასთან გავლილი აქვთ სპეციალური მოსამზადებელი კურსები.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად

რეფერატის დაწერისა და განხილვის შესახებ

რეფერატების შედგენა და წაკითხვა სულ უფრო ფართოდ ვრცელდება პარტიული განათლების სისტემაში. რეფერატებს წერენ პოლიტიკური თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგები, პარტიულ-საბჭოთა და პარტიულ-საეურნეო აქტივის მუდმივმოქმედი სემინარების მონაწილენი. ამასთან რეკომენდებულია პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა სემინარებზე ლექციების წაკითხვასთან ერთად მოსმენილი და განხილულ იქნას პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა რეფერატები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებსა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეულ საკითხებზე. რეფერატის დაწერა შეიძლება აგრეთვე სასწავლო წლის ბოლოს ჩაითვალოს შემაჯამებელ სამუშაოდ ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის.

რეფერატების დაწერა და განხილვა თვითკონტროლისა და კონტროლის საუკეთესო ფორმაა

რეფერატი ეწოდება დაწერილ საჯარო მოხსენებას, რომელშიც მოკლედ, შეკუმშული სახით გადმოცემულია საკითხის არსი, თემის ძირითადი იდეები.

რეფერატის დაწერა მნიშვნელოვნად განსხვავდება კონსპექტის შედგენისა და ნაწარმოების შინაარსის წერილობით გადმოცემისაგან. რეფერატი იწერება გასაშუქებელი თემის შესახებ არსებული ლიტერატურის—სხვადასხვა წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების სტატიების შესწავლის საფუძველზე. ეს ქმნის რეფერატის შედგენის ერთგვარ სირთულეს, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს მისი უდიდესი მნიშვნელობა.

რეფერატზე მუშაობა, მისი დაწერა ხელს უწყობს ერთდროულად რამდენიმე წიგნზე მუშაობის, სხვადასხვა წყაროებით სარგებლობის ჩვევების გამომუშავებას. რეფერატზე მუშაობის დროს საკითხი უფრო ღრმად და ყოველმხრივ შეისწავლება. რეფერატი, როგორც წერითი სამუშაო, საკითხის შესწავლის ხარისხის შემოწმების საუკეთესო საშუალებაა. წერის დაწყებისთანავე აღმოჩნდება, თუ რომელი საკითხი ჯერ კიდევ არ არის სავსებით გაგებული და გააზრებული, რომელი დებულების ფორმულირებას ვერ ახერხებ და დაზუსტება სჭირდება, დაინახავ, რომ საჭიროა ხელმეორედ მიმართო წიგნებს, ახალ, დამატებით წყაროს, ერთხელ კიდევ ჩაუფიქრდე წაკითხულს. ვისაც შემოქმედებითად უწერია, მას გამოუცდია, რომ წერის დროს ხშირად საკუთარ თავს ესაუბრები, ამოწმებ და ასწორებ საკუთარ აზრებს, შეიძლება რამდენჯერმეც წაშალო დაწერილი, თავიდან დაწერო უკვე სხვა სახით, უკეთესად ჩამოაყალიბო აზრი, მოძებნო უკეთესი ფორმულირება, გამართული წინადადება, და ასე მიაღწიო აზრის სწორ, თანმიმდევრულ, ლოგიკურ გადმოცემას. წერის პროცესში არა მარტო იხვეწება აზრი, არამედ უფრო ღრმად და მტკიცედ აღიბეჭდება მეხსიერებაში. სწორედ ამიტომ რეფერატი, როგორც წერითი ნაშრომი, თვითკონტროლისა და ცოდნის განმტკიცების საუკეთესო საშუალებაა.

მ. ი. კალინინი მიუთითებდა: „თუ თქვენ მოხსენებას დაწერთ ხოლმე, იმ შემთხვევაში, პირდაპირ უნდა გითხრათ, — ხუთჯერ უფრო მეტად შეისწავლით საკითხს, ვიდრე ლექციის მოსმენის დროს. მოხსენება რომ დაწეროთ, ამისათვის ხომ საჭიროა ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი მოიფიქროთ. მოხსენების წერის დროს აქეთაც უნდა ჩაიხედოთ წყაროში და იქითაც. მოხსენების დაწერის დროს გაცილებით მეტად დაამუშავებთ საკითხებს“.

რეფერატის საჯარო განხილვა კონტროლის მეტად ეფექტიანი ფორმაა. კონსულტანტს საშუალება ეძლევა გაიგოს როგორ აქვთ შეთვისებული წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს მარქსისტულ-ლენინური იდეები და ისტორიული მოვლენები, შეუძლიათ თუ არა მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ახსნან თანამედროვე მოვლენები, განაზოგადონ ადგილობრივი ცხოვრების ფაქტები და მაგალითები, გამოიყენონ ცოდნა პრაქტიკულ ცხოვრებაში. რეფერატების შედგენა და განხილვა არამარტო ასეთი შემოწმების საშუალებას იძლევა, არამედ, რაც მთავარია, ხელს უწყობს ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის საკითხების შემოქმედებითად შესწავლას. ამრიგად, რეფერატების წერა და განხილვა დახმარების საშუალებაც არის და კონტროლის საუკეთესო ფორმაც. იგი ეხმარება არა მარტო რეფერატის ავტორს, არამედ განხილვის მონაწილეებსაც, მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმად და შემოქმედებითად შესწავლაში.

რეფერატზე მუშაობა

რეფერატზე მუშაობა შემდეგი მომენტებისაგან შედგება: უწინარეს ყოვლისა ხდება რეფერატის თემის არჩევა. რაიკომის პარტიულ კაბინეტს, აგრეთვე პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავენი არიან, უნდა ჰქონდეთ სარეფერატო თემების სია. დამოუკიდებლად მომუშავე თვითონ ირჩევს თემას, მაგრამ აქაც საჭიროა კონსულტანტის დახმარება. იშვიათი რამდია, როცა დამოუკიდებლად მომუშავე რეფერატის თემად იღებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ისეთ ნაშრომს, რომელშიც გაშუქებულია თეორიის რამდენიმე პრობლემა. ასეთი ნაშრომის იდეების ერთ რეფერატში გაშუქება შედარებით რთული და ძნელი საქმეა.

მაგალითად, ბევრი წერს რეფერატს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ისეთ ნაშრომებზე, როგორიც არის ვ. ი. ლენინის „რა ვაკეთოთ?“ და ი. ბ. სტალინის „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა“. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა რეფერატის თემად ამ ნაშრომების რომელიმე ცალკე პრობლემის აღება. მაგალითად, თუ დამოუკიდებლად მომუშავეს ლენინის შრომის „რა ვაკეთოთ?“ შესწავლის დროს აღეძრა სურვილი დაწეროს რეფერატი, კარგი იქნება კონსულტანტმა ურჩიოს მას შეადგინოს რეფერატი ვთქვათ ისეთ საკითხზე, როგორიც არის: „მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანის შესახებ“. ასევე უკეთესი იქნება რეფერატი დაიწეროს სტალინის არა მთელი ნაშრომის—„ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკის“ შესახებ, არამედ, მაგალითად, მის მეოთხე თავზე: „ბოლშევიკების ტაქტიკის ზოგიერთ თავისებურებაზე ოქტომბრის მომზადების პერიოდში“, ან მეხუთე თავზე „ოქტომბრის რევოლუცია, როგორც მსოფლიო რევოლუციის დასაწყისი და წანამძღვარი“. ასეთ შემთხვევაში საკითხი უფრო ღრმად და სრულად გაშუქდება და, მაშასადამე, უფრო საფუძვლიანადაც შეისწავლება.

აირჩევს რა თემას, დამოუკიდებლად მომუშავე ადგენს რეფერატის გეგმას და გამოსაყენებელი ლიტერატურის სიას. კონსულტანტი გასინჯავს მას და, თუ საჭიროა, შეიტანს ცვლილებებს, მისცემს რეფერატის შემდგენელს საჭირო რჩევა-დარიგებას: რა თანამიმდევრობით დაამუშაოს ლიტერატურა, რას მიაქციოს მთავარი ყურადღება, რა მოცულობით უნდა გაშუქდეს რეფერატში გეგმის ცალკეული საკითხები, მიუთითებს დამატებით წყაროებს, მხატვრულ ლიტერატურას და სხვ. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე უნდა შეუთანხმდეს კონსულტანტს რეფერატის დაწერის ვადაზე. მტკიცე ვადის დაწესება ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას, აძლიერებს რეფერატზე მომუშავის პასუხისმგებლობას.

რეფერატზე მომუშავე ესწრება ლექციებს, იღებს კონსულტაციებს, ეცნობა პარტკაბინეტში არსებულ მასალებს, საუკეთესო რეფერატების ნიმუშებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა მომზადდეს რეფერატი. ამ მასალებით უზრუნველყოფისათვის პარტკაბინეტმა უნდა იზრუნოს.

შეუდგება რა გათვალისწინებული ლიტერატურის თანმიმდევრულ შესწავლას, დამოუკიდებლად მომუშავე ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს წაკითხულს, კარგად გაერკვეს მის შინაარსში, გამოჰყოს ძირითადი იდეები, მთავარი აზრები, დებულებები, გააკეთოს წინასწარი ამონაწერები, შეარჩიოს ყველაზე მკაფიო, დამახასიათებელი საილუსტრაციო მასალა: ფაქტები, ციფრები, აუცილებელი ციტატები, აგდილები მხატვრული ნაწარმოებებიდან, და როცა დარწმუნდება, რომ თემა მთლიანად გაგებული და გააზრებულია, შეიძლება შეუდგეს წერას.

დაწერილი რეფერატი წარედგინება კონსულტანტს. იგი გასინჯავს მას, აღნიშნავს შეცდომებს, გამოტოვებულ საკითხებს, არასწორ ფორმულირებებს (თუ ასეთი აღმოჩნდება) და შემდეგ რეფერატის ავტორთან ერთად განიხილავს ამ შენიშვნებს, მიუთითებს, თუ რა და როგორ გასწორდეს. რა შეიცვალოს ან დაემატოს და სხვ. ამის შემდეგ რეფერატის ავტორი საბოლოოდ დაამზადებს რეფერატს და კვლავ გადასცემს კონსულტანტს, რომელმაც უნდა მოაწყოს მისი კოლექტიური წაკითხვა და განხილვა.

რეფერატის განხილვის წესი

რეფერატის განხილვის სწორად მოწყობა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ხშირია, როცა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე დაწერს რეფერატს და გადასცემს კონსულტანტს, ხოლო ეს უკანასკნელი სათანადო მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად, დაუყოვნებლივ დანიშნავს რეფერატის განხილვის დღეს, შეკრებს დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს, წაიკითხავენ დაწერილ რეფერატს, აღნიშნავენ ავტორის მიერ გაწეულ შრომას და ამით კმაყოფილდებიან. ასეთი „განხილვით“ რეფერატი კარგავს თავის მნიშვნელობას.

რეფერატის განხილვა გულდასმით უნდა იქნას მომზადებული. ამისათვის მიზანშეწონილია რეფერატი, გამოყენებული ლიტერატურის სიასთან ერთად, გამრავლებულ იქნას და დაურიგდეს განხილვის მონაწილეებს. ხოლო სადაც ეს ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია, რეფერატი შეიძლება გადაეცეს პარტკაბინეტს, ბიბლიოთეკას, ინახებოდეს პირველად პარტიულ ორგანიზაციაში, ან საერთოდ ისეთ ადგილას, სადაც დაინტერესებულ ამხანაგებს შეეძლებათ გაეცნონ მას. როცა განხილვის ყველა მონაწილე გაეცნობა რეფერატის ტექსტს, მოემზადება განხილვაში მონაწილეობისათვის (ეს უნდა უზრუნველყოს კონსულტანტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ), შეიძლება დაინიშნოს განხილვა. რეფერატის ავტორს შეუძლია წაიკითხოს დაწერილი რეფერატი, მაგრამ ბევრად უკეთესი და მიზანშეწონილია, რომ ავტორმა ზეპირად გადმოსცეს მისი შინაარსი.

რეფერატის მოსმენის შემდეგ ეწყობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კონსულტანტი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება ყოველმხრივ და სრულად განიხილონ რეფერატში აღძრული საკითხები. დასასრულ, კონსულტანტი შეაჯამებს რეფერატის განხილვას, გაასწორებს, თუ რაიმე სწორი არ იყო კამათის დროს აზრების, ფორმულირებების გადმოცემაში, განმარტავს, თუ რაიმე გაუგებარი იყო, და ბოლოს, შეაფასებს რეფერატსა და განხილვის მონაწილეთა გამოსვლებს.

მხოლოდ ასეთ განხილვას შეუძლია გააღვივოს რეფერატების წერის და საერთოდ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ინტერესი. განხილვის დროს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ რეფერატი იმდენად საფუძვლიანად და საინტერესოდ აშუქებს საკითხს, რომ ის შეიძლება წაკითხულ იქნას ფართო აუდიტორიის წინაშე. ამრიგად, რეფერატის ავტორი შეიძლება გახდეს ლექტორი, მომხსენებელი. ასეთ შემთხვევაში აშკარად შესამჩნევია კომუნისტის იდეურ-თეორიული ზრდა. ამასთან ეს ახალი, მძლავრი სტიმული იქნება პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებისათვის.

გადავარჩინოთ სიკვდილს ბელოიანისი და მისი ამხანაგები

საბჭოთა წარმომადგენლის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსადმი

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკ.). 5 მარტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ს. კ. ცარაპკინმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლობას პატივი აქვს აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლის ბ-ნ ი. ა. მალიკის სახელზე მიღებულია საბერძნეთის შვიდი დემოკრატიული ორგანიზაციის შემდეგი დეპეშა, რომელიც შეიცავს თხოვნას, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჩაერიოს საქმეში და თავიდან აიცილოს სიკვდილით დასჯა სახალხო მებრძოლს ნ. ბელოიანისსა და შვიდ სხვა ბერძენ პატრიოტს:

„ათენის სამხედრო ტრიბუნალმა სრულიად ყალბ და საფუძველსმოკლებულ ბრალდებათა საფუძველზე, და იმ მოსაზრებით, რომ საბერძნეთი თითქოს ომს აწარმოებს ქვეყნებთან, რომლებთანაც მას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, დღეს სიკვდილი მიუსაჯა ნიკოს ბელოიანისსა და შვიდ სხვა ბერძენ პატრიოტს, რომელთა ერთადერთი „დანაშაული“ ის არის, რომ ისინი იბრძვიან მშვიდობისა და თავისუფალი დემოკრატიული ცხოვრებისათვის საბერძნეთში. ეს განაჩენი მიმართულია მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის წინააღმდეგ, აგრეთვე შეურაცხყოფს სამართლიანობის გრძნობას და დემოკრატიას მთელ მსოფლიოში. მშვიდობისათვის ამ მებრძოლთა მოსალოდნელი სიკვდილით დასჯა აღაშფოთებს ყველა ცივილიზებულ ადამიანს. ჩვენ მოვუწოდებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მთავრობებს, პარტიებს, საერთაშორისო პროფესიულ და სოციალურ ორგანიზაციებს, ყველა უბრალო ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, თავისუფლება და კაცობრიობის ცივილიზაცია, და მოვითხოვთ, რათა მათ გაუწიონ დახმარება, ჩაერიონ საქმეში და თავიდან აიცილონ სიკვდილით დასჯა სახალხო მებრძოლს ნ. ბელოიანისა და შვიდ სხვა ბერძენ პატრიოტს. „გადავარჩინოთ სიკვდილს ნ. ბელოიანისი და შვიდი სხვა პატრიოტი“—ასეთია დღეს მგზნებარე და წმიდა მოწოდება მთელი ჩვენი ხალხისა, რომელიც სისხლით იცლება წამებისაგან, მაგრამ მაინც იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენს მხარეზე არიან ადამიანები, რომელთაც უყვართ მშვიდობა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ მოწოდებას უაღრესად მხურვალედ გამოეხმაურება ყველა პატიოსანი ადამიანი და დაუყოვნებლივ დაუჭერს მხარს, რათა ხელი შეუშალოს ბოროტმოქმედებას, რომელიც სამარცხვინოა კაცობრიობის ცივილიზაციისათვის.

კოსტას თეოსი — საბერძნეთის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის არჩევითი ხელმძღვანელობის მდივანი; სტეფანოს საავიდისი—სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კონფედერაციის მუდმივი ხელმძღვანელობის პრეზიდენტი; რულა კუკულუ—საბერძნეთის დემოკრატ ქალთა კავშირის მდივანი; ნ. აკრიტიდისი — ახალგაზრდობის გაერთიანებული ორგანიზაციის მდივანი; ილტიადის პორფირიგენისი — საბერძნეთის დემოკრატ იურისტთა კავშირის თავმჯდომარე; ვასოს გეორგიოსი — დემოკრატ ჟურნალისტთა კავშირისაგან; მიცოს პაპადიმიტრისი—ბერძენ ლტოლვილთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე“.

ზემოაღნიშნულის გამო, სსრ კავშირის წარმომადგენლობა სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს სასწრაფოდ განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით ყველა საჭირო ღონისძიება ამ ბერძენ პატრიოტთა გადასარჩენად.

სსრ კავშირის წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს სთხოვს აგრეთვე მიიღოს ღონისძიებანი ამ წერილის, როგორც გენერალური ასამბლეის დოკუმენტის, გამოსაცემად და დაუგზავნოს იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყნის მთავრობებს“.

საბერძნეთის ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის კომუნიკე

ათენი, 5 მარტი. (საკ.). ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ გამოსცა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის აღმასკომი, ერთგული ხალხის განაწესისა ჩვენი ქვეყნის დაშშმინების და დამშვიდების შესახებ, ერთგული თავისი პროგრამისა, რომელიც საგანგებით შეესაბამება ხალხის სურვილებს, გამოხატულს სიტყვებით „კმარა სისხლი!“, პროტესტს აცხადებს 8 სიკვდილმისჯილის დახვრეტის მზადებისა და საერთოდ ხვრეტის წინააღმდეგ.

„მთავრობას,—ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში,—რომელმაც აღგვიფქვა დაშშმინება, რაც ასე მხურვალედ სურს ბერძენ ხალხს, შეუძლია გაუქმოს და კიდევ უნდა გაუქმოს ხვრეტა. ხვრეტა პოლიტიკური აქტია და მთელი პასუხისმგებლობა მისთვის მთავრობას ეკისრება“.

აღმასკომი მოუწოდებს საბერძნეთის ყველა პარტიას, ყველა დეპუტატს, სამეფოელოებას, კულტურის ყველა მოღვაწეს, საზოგადო მოღვაწეს და პრესას ხელი შეუწყოს ბერძენთა სისხლის ახალი დაღვრის თავიდან აცილებას.

მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიური თათბირის გამო

ლონდონი, 5 მარტი. (საკ.). როგორც „დეილი უორკერი“ იუწყება, მოსკოვის საერთაშორისო ეკონომიურ თათბირზე ინგლისის ელეგაციის შემადგენლობაში შევლენ მეურნეობის სულ ცოტა 9 დარგის წარმომადგენელნი, რამდენიმე თვალსაჩინო ეკონომისტი, პარლამენტის წევრი და პროფკავშირის მოღვაწე.

გაზეთი იუწყება, რომ დელეგაციის შემადგენლობაში უკვე არიან სოფლის მეურნეობის, პოლიგრაფიული მრეწველობის, საფეიერო მრეწველობის, ხისდამამუშავებელი მრეწველობის, დაზგათმშენებელი, ბეწეულის, კერამიკის მრეწველობისა და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის წარმომადგენელნი. შექმნილია მოსამზადებელი კომიტეტი, რომლის ადგილსამყოფელია ლონდონი.

ქალაქ აბერდინის მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის რაიონულმა კომიტეტმა პროფკავშირთა აღმასკომს მიმართა თხოვნით გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები თათბირზე.

„დეილი უორკერი“ ათავსებს ინტერვიუს ჩხუნლთა გაერთიანებული პროფკავშირის გენერალურ მდივან გარდნერთან, რომელიც მოუწოდებს საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ვაჭრობის გაფართოებისაკენ. გარდნერმა განაცხადა, რომ ინგლისის წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ხანგრძლივი კამათი, რომლის მსვლელობაში პროფკავშირების, ფერმერებისა და სხვა მასობრივი ორგანიზაციები მტკიცედ ილაშქრებდნენ მშვიდობიან დროს სავაჭრებულო სამხედრო გაწვრთნის შემოღების წინააღმდეგ.

რამდენადაც მიმდინარე წლის ნოემბერში გადარჩეულ იქნება წარმომადგენელთა პალატის მთელი შემადგენლობა, პალატის წევრთა უმრავლესობა ალბათ შიშობს მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ თვალსაზრისს.

საზარბაზნე ხორცის ძებნა

ეიზენჰაუერის მოლაპარაკების გამო ანკარაში

სტამბოლი, 5 მარტი. (საკ.). 4 მარტს ანკარაში აღრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი ეიზენჰაუერი შეხვდა თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეებს.

როგორც თურქეთის პრესის ცნობიდან ჩანს, ეიზენჰაუერი მოლაპარაკებას აწარმოებდა თურქეთის ჯარის რაოდენობაზე, რომელიც გადაცემულ უნდა იქნას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სარდლობის განკარგულებაში. გაზეთები ამასთან ასახელებენ 40 დივიზიას.

ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი თურქი მიმომხილველი შეშფოთებას გამოთქვამს. ნიხათ ერიმი გაზეთ „ულუსში“ გაკვირვებას გამოთქვამს იმ მოთხოვნის გამო, რომ თურქმა ჯარისკაცებმა უნდა შეავსონ ეიზენჰაუერის არმიის დანაკლისი. სხვა გაზეთები წერენ: იმ გარემოებამ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშრომელებს არა სურთ იომონ ამერიკის მონოპოლიების აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად, აიძულა ეიზენჰაუერი საზარბაზნე ხორცის საძებნელად წასულიყო თურქეთსა და საბერძნეთში.

დღეს ეიზენჰაუერი საბერძნეთის გაემგზავრა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ

ვაშინგტონი, 5 მარტი. (საკ.). 4 მარტს წარმომადგენელთა პალატამ 236 ხმით 162 ხმის წინააღმდეგ გადაწყვიტა მთავრობის კანონპროექტი საგალდებულო სამხედრო გაწვრთნის (საგალდებულო სამხედრო ბეგარის. **რედ.**) შესახებ უკან დაუბრუნოს შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიას შემდგომი შესწავლისათვის.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, მთავრობის ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ წარმომადგენელთა პალატის ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ წელს კონგრესი ალბათ ვერ შეძლებს მოიწონოს ეს კანონპროექტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(რადიოსადგურებით 1500 და 59.52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

8 მარტს

6.25—ქართული ხალხური სიმღერები. 11.10 — კონცერტი კომპოზიტორების დარკლეს და ვლადიგეროვის ნაწარმოებებიდან. 17.15—მეჩონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტი. 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15—სიმფონიური მუსიკა. 19.15—კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის თ. გოგოლაშვილის შესრულებით. 19.30—სიუბარი პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად: საბჭოთა კავშირი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯია. 20.30—კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 21.00—საუბარი. 21.50—საოპერო მუსიკის კონცერტი. 22.30—ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი. 23.00—კონცერტი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეების დები ოშხნელების შესრულებით. 00.05—პოპულარული მუსიკის კონცერტი.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — დაისი (მე-2 ა.); **რუსთაველის სახელობის** — ხევისმერი გოჩა; **მარჯანიშვილის სახელობის** — რევიზორი (26 კომისრის რაიონის მოსწავლეთათვის 6 ს.); **გრიბოედოვის სახელობის** — მგლები და ცხვრები (51, 52 ა.); **სომხური დრამის** — ქორ-ოღლი; **მუსიკალური კომედიის** — როზ-მარი (მე-12 ა.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ზამთრის ზღაპარი (22-ე ა. 10 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — თეთრად მოსჩანს აფრა ეული (4 ს.); **თოჯინების ქართული** — ჭაბუკი და მტრედი (10 და 4 ს.); **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 5 მარტი. (საკ.). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს.

გუშინ ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მოხდარა.

დღეს სახალხო არმიის საჰაერო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 ავიაგამანადგურებელი.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ფხენიანი, 5 მარტი. (საკ.). ფხენიანის რადიომ გამოაქვეყნა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ. მთელი კორეელი ხალხი, ნათქვამია დადგენილებაში, ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს ეგებება ისეთ ვითარებაში, როცა იგი განმათავისუფლებელ სამამულო ომს ეწევა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ღირსებისათვის, ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმის შეიარაღებული აგრესორობისა და მისი დამჭაბუნების წინააღმდეგ.

გმირი სახალხო არმია ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად სძლევს ყველა სიძნელეს ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმის შეიარაღებულ აგრესორთა წინააღმდეგ სასტაკი და მრისხანე ომის მსვლელობაში. ყველა ფრონტზე ფუშავს მტრის შემოტევის გაფფრებულ ცდებს, თავდადებით იცავს სამშობლოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, ჩვენი შვილების ბედნიერებას და დიდი წვლილი შეაქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში.

კორეის ფრონტზე ამერიკელ-ინგლისელმა იმპერიალისტებმა, აღნიშნულია შემდეგ დადგენილებაში, ვერ მიაღწიეს არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე უდიდესი მორალურ-პოლიტიკური დამარცხება. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტი აგრესორები, რომლებმაც კორეაში თავიანთი ბარბაროსული ბოროტმოქმედებით ყველა პატიოსანი ადამიანის წინაშე საკმაოდ ქედმაღლობენს თავიანთი პინძური, სასტიკი და მზეცური ბუნება, ამჟამად სამარცხვინო ბოძზე არიან გაკრულნი, როგორც არა მარტო კორეელი ხალხის, არამედ აგრეთვე მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის უბოროტესი მტრები.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქალებმა რეგორც ფრონტზე, ისე ზურგში გამოიჩინეს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში უმაგალითო პატრიოტული თავდადება, გმირობა, გამბედაობა, შეუდრეკელი სიმტკიცე და გამძლეობა.

დღეს კორეელი ქალები უშუალოდ მოქმედებენ ბრძოლის ველზე, საწარმოებში, სკოლებსა და საავადმყოფოებში, ქალაქებსა და სოფლებში, იტანენ ყველა სიძნელესა და ტანჯვას, სჩადიან უკვდავ გმირობას სამშობლოსა და ხალხისათვის, ომში გამარჯვებისათვის. ათასობით და ათეულათასობით ქალი — სანიტრები, პოლიტმუშაკები, მეკავშირეები—შევიდა გმირი სახალხო არმიისა და პარტიზანთა რიგებში, ხელი მოჰკიდა იარაღს და სიცოცხლის დაუზოგავად იცავს სამშობლოსა და ხალხს ერაგი მტრების წინააღმდეგ განმათავისუფლებელ სამამულო ომში.

ქალები, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს წარმოებაში, იჩენენ პატრიოტულ ინიციატივასა და სიმტკიცეს, სძლევენ ყველა სიძნელეს, წარმატებით ეუფლებიან სპეციალობებს და 200-300 პროცენტის გადამეტებით ასრულებენ თავიანთ ნორმებს, რითაც წარმატებით უზრუნველყოფენ საჭირო პროდუქციის გამოშვებას.

სოფლელი ქალები, რომლებიც ბიწის სამუდამო ბატონ-პატრონი გახდნენ, პასუხად მოწოდებისა, რომ „სურსათისათვის ბრძოლა სამშობლოსათვის ბრძოლაა, ომში გამარჯვებისათვის ბრძოლაა“, იბრძვიან იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი სურსათი მისცენ ფრონტს. მუშა პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ნაკლებობისა და სხვა სიძნელეების მიუხედავად, მძიმე პირობების მიუხედავად, რაც გამოწვეულია ომით, რომ გრძელდება ბარბაროსული დაბომბვა და ცეცხლის დაშენა, სოფლელმა ქალებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სურსათის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში, დაუცხრომლად მუშაობენ დანგრეული ბზებისა და ხიდების აღსადგენად და დიდი გმირობა გამოიჩინეს ფრონტზე ტვირთების დროულად გადაზიდვის უზრუნველყოფისათვის.

კულტურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სახელმწიფოებრივი მართვის დარგში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში მომუშავე ქალები მთელ ძალღონესა და უნარს ახმარენ ხალხის საქმეს, ომში გამარჯვების საქმეს.

დღეს კორეელი ქალები დიდ ძალად გადაქცნენ ჩვენს ქვეყანაში. ფრონტებზე ბრძოლის ცეცხლში, მტრების მიერ დანგრეულ მიწურებში, დანგრეულ ქარხნებში მანქანებთან, ვერაგი მტრების ზურგში კორეელი ქალები შეუდრეკლად, გამარჯვების რწმენით განაგრძობენ გმირულ ბრძოლას. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სამუდამოდ დარჩება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირი ქალების ტხეს სონ ხის, ლი სუ დეკის, ლი სუნ ნიმის, გუკ სინ ბოკის, ან სუნ გორის სახელები.

6 კორეელ ქალს მინაბეჭდული აქვს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდება, ექვსი ათასზე მეტი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტი ქალების წინაშე სახავს მთელ რიგ კონკრეტულ ამოცანებს და მოუწოდებს მათ კიდევ უფრო განამტკიცონ მეგობრული სოლიდარობა და კავშირი მთელი მსოფლიოს დემოკრატ ქალებთან, რომლებიც იბრძვიან მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ შრომის პარტიის გარშემო, სახალხო მთავრობისა და მისი ბელადის გენერალ კიმ ირ სენის გარშემო, ყველა სიძნელის გადალახვით კიდევ უფრო მტკიცედ და თავდადებით იბრძოლონ ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმის შეიარაღებულ აგრესორთა წინააღმდეგ სამართლიან განმათავისუფლებელ სამამულო ომში გამარჯვებისათვის.

ᲩᲐᲘᲨᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲜᲯᲘᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲧᲐᲚᲑᲔᲕᲘ

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკ.). 3 მარტს დომინგოს მთავრობამ გამოაცხადა, რომ დომინგოს რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სამინისტრომ, აგრეთვე ავიაციის სამინისტრომ 28 თებერვალს თვითმფრინავები და სამხედრო გემები გაგზავნეს სამანის სრუტეში, სადაც შენიშნულ იქნა „უცხოეთის რამდენიმე წყალქვეშა ნავი“.

„დარწმუნებული არიან,—აღნიშნულია კომუნიკეში, — რომ წყალქვეშა ნავები არ ეკუთვნის დასავლეთ ნახევარსფეროს არცერთ ქვეყანას“.

ამავე დროს დომინგოს საინფორმაციო ცენტრმა ნიუ-იორკში განაცხადა, რომ, როგორც ფიქრობენ, წყალქვეშა ნავები „შეიძლება რუსეთისა იყოს, რამდენადაც დომინგოს რესპუბლიკა თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამართავი ყუმბარების გამოცდის პროგრამის განხორციელებაში“.

ეს მონაჭორი მთლიანად ჩაიფუშა: ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არავითარი ცნობა არა აქვს სამანის ყურის რაიონში შემჩნეული უცნობი წყალქვეშა ნავების შესახებ, და უარი თქვა გააკეთოს რაიმე დამატებითი განცხადება.

მაგრამ ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკის ფლოტი ამ რაიონში აწყობს მანევრებს და სავსებით შესაძლებელია, რომ შენიშნული წყალქვეშა ნავები ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკუთვნოდეს. ასოშიეიტედ პრესის საგენტო იხსენებს თებერვალში გამოქვეყნებულ პრესის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტის მანევრები მოეწყობა ნიუ-იორკიდან სამხრეთ ამერიკამდე მდებარე ზონაში და რომ ამ მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ წყალქვეშა ნავები.

ქ. რუსთავი. პოლიკლინიკის ახალი შენობის საერთო ხედი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲞᲝᲚᲘᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ

რუსთავი. (საკ. კორ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის აღსანიშნავად რუსთავის ბინათმშენებლობის სამართველოს კოლექტივმა დაამთავრა პოლიკლინიკისათვის სამსართულიანი შენობის აგება.

პოლიკლინიკა გათვალისწინებულია შვიდასამდე მშრომელისათვის ერთდროული მომსახურების გასაწევად. იგი მოწყობილია სანიტარული ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით, აქვს საკუთარი გარაჟი, სამრეცხაო და სამზარეულო, აღჭურვილია გაუმჯობესებული სამკურნალო აპარატურითა და მოწყობილობით, კარგად გამართული ლაბორატორიებით.

საერთაშორისო საჭადრაკო ჟურნირი უნგრეთში

ბუდაპეშტი, 5 მარტი. (საკ.): დღეს გ. ნაროცის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა პირველი და მეორე ტურის დაუმთავრებელი პარტიები.

თამაშის განუგრძობლად ტროიანესკუ (რუმინეთი) დანებდა გოლომბეკს (ინგლისი). მსოფლიოს ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა კარგად გამოიყენა პოზიციური უპირატესობა პოლონელ ოსტატ სლიფოსთან თამაშში და 63-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

ბოტვინიკ-გელერის მეორე ტურის პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონმა 48-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო. ოსტატმა გელერმა ორი ქუსლი მოაგო და ტურნირის ლიდერი გახდა.

უნგრეთის ჩემპიონმა ბარცამ მოუგო პოლონეს (არგენტინა), ო'კელმ (ბელგია) მოუგო გოლომბეკს (ინგლისი). ბარცა-სლავას და პეტროსიან-სმისლოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ორი უნგრელი მოჭადრაკის საბა-ბენკოს პარტია დამთავრდა თეთრების გამარჯვებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

მეათე ტური

მეათე ტურში, რომელიც 5 მარტს შედგა, დამთავრდა მხოლოდ ხუთი პარტია.

ა. ებრალიძე—გ. გაჩეჩილაძის პარტიაში შავებმა ნიმციოვიჩის დაცვაში დაუშვეს უხეში პოზიციური შეცდომა. ამის შემდეგ ა. ებრალიძემ მიიღო სტრატეგიული უპირატესობა. კრიზისულ მომენტში ოსტატმა სუსტად ითამაშა და საშეალება მისცა გ. გაჩეჩილაძეს გონებამახვილური სვლებით პარტია ყაიმით დაემთავრებინა.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ა. ბუსლაევ — მ. შიშოვის და ჰ. არონშტეინ — თ. გორგაძის შეხვედრები.

საინტერესო თამაში გაიმართა ნ. ტიმოფეევ — ო. ელიოზიშვილის პარტიაში. ჰოლანდიური დაცვაში ო. ელიოზიშვილმა მძიმე პოზიცია მიიღო, მაგრამ ნ. ტიმოფეევმა მცდარი კომბინაციით წაგო ორი ფიგურა და მალე პარტიაც.

შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა გ. გამრეკელ — ო. წოწოლაშვილის პარტიაში. შუა თამაშში ო. წოწოლაშვილმა შეძლო ორი პაიკის მოგება და ბოლოს გამარჯვების მიაღწია.

ა. ფირცხალავა — ბ. გურგენიძისა და დ. ჩირაძე — ა. ბლაგიძის შეხვედრები არ შემდგარა.

ᲝᲡᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

დღეს, 7 მარტს, მწერალთა კლუბში (ბაჩელის ქ. № 13) გაიმართება ოსი პოეტების საღამო. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის გიორგი ლეონიძე. მოხსენებას სამხრეთ ოსეთის თანამედროვე მწერლობის შესახებ გააკეთებს რ. ასავეი. საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ თბილისში ჩამოსული ოსი პოეტები — ი. პლიევი, კაკაზაფი, გაფეზი, ი. ცხოვრებოვი, კ. მარგიევი, რ. ასავეი, მ. შავლოხოვი.

ოსი პოეტების ლექსების საკუთარ თარგმანებს წაიკითხავენ: გ. აბაშიძე, ხ. ვარდოშვილი, ი. ნონეშვილი, ხ. ბერულავა, კ. ჭიჭინაძე, გ. ცეცხლაძე, ა. გომიაშვილი, კ. ბობოხიძე, ა. სულკაური, თ. ჯანგულაშვილი, ბ. კეშელავა, დ. ხუხაშვილი, ნ. გურეშიძე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲖᲐᲠᲘᲐ ᲕᲝᲡᲢᲝᲩᲙᲐᲨᲘ“

პირველი გვერდი: მოწინავე — მეტი პირველხარისხოვანი პროდუქცია.

საინფორმაციო ცნობა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1952 წლის 6 მარტის გაერთიანებული სხდომის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია — სესიის გახსნა. კავშირის საბჭოში. ეროვნებათა საბჭოში.

ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა მუშაბის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მეორე გვერდი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. მ. პუზანოვის მოხსენება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ი. გ. კვბინის მოხსენება.

მ. ციხისთავი — ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა.

მესამე გვერდი — პარტიული ცხოვრება — რაიკომი და პირველადი პარტორგანიზაციები.

მ. მაზანაშვილი — საკოლმეურნეო საკუთრების გამფლანგველები დასჯილნი არ არიან. ვ. კიკნაძე — ბრიგადის საველე საღამომში.

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე — ს. ინჟინერელი — წინააღმდეგობის დაძლევა ქალაქსა და სოფლის შორის სსრ კავშირში.

მეოთხე გვერდი — უცხოთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲬᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲣᲨᲐᲯᲐᲢᲔᲠᲘ

ცნობებისათვის მიმართეთ მარჯანიშვილის ქ. № 5, მეორე სართული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 25 მარტს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) **გიორგი ალექსანდრეს-ძე ფხაკაძე** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„თირკმლის ავთვისებიან სიმსივნეთა კლინიკისა და დიაგნოსტიკის საკითხისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები—მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **კ. ფ. ვეფხვაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მ. ი. კოკოჩაშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ შრომას გაეცნონ სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲡᲬᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲣᲨᲐᲯᲐᲢᲔᲠᲘ

ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲗᲝᲗᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲔᲠᲗᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲨᲕᲘᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲤᲘᲤᲢᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲩᲕᲘᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲠᲕᲔᲢᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔᲢᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲛᲔᲤᲘᲤᲢᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

**ᲛᲔ